გამოცემა 1 · მარტი 2024

“STEM4HUMANITIES” საინფორმაციო ბარათი

STEM4HUMANITIES: STEM skills for Humanities

ძირითადი საკითხები:

პროექტის მიმოხილვა

საწყისი შეხვედრა

პროექტის საწყისი აქტივობები

რა იქნება შემდეგში?

პროექტის მიმოხილვა

“STEM4Humanities” პროექტი ორიენტირებულია, ერთი მხრივ, STEM უნარებსა (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) და მეორე მხრივ, ჰუმანიტარულ განათლებას შორის არსებული ნაპრალები შეავსოს. ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე და აუდიტორიას შევთავაზოთ ინოვაციური ონლაინ ტრენინგი, თავისუფლად ხელმისაწვდომი სასწავლო მასალები, დისტანციური სტაჟირების პროგრამები და ინტერდისციპლინური მიდგომები.

.

საწყისი შეხვედრა, მაცერატა (იტალია)

2023 წლის 8-9 თებერვალს გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა. 8 საგანამანათლებლო ორგანიზაციით (უნივერსიტეტები, კოლეჯები და NGO-ები) დაკომპლექტებულმა კონსორციუმმა განიხილა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განხორციელებისათვის. შეხვედრაზე პარტნიორებმა განიხილეს ექსპერტული მოსაზრებები და აღნიშნეს ის უმნიშვნელოვანესი წვლილი, რომელსაც ისინი შეიტანენ პროექტში.



პროექტის საწყისი აქტივობები

🚀 მეტროპოლიტენის კოლეჯი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ამზადებს თვითშეფასების მექანიზმს ჰუმანიტარული დისციპლინის პროფესორებისათვის. ეს მექანიზმი დაეხმარება მათ, შეაფასონ თავიანთი ცოდნა და უნარები STEM სფეროში და ამ თვალსაზრისით, განსაზღვრონ განვითარების მიმართულებები.

🔍 კვლევითი ორგანიზაცია "Innovation Hive" შეაგროვებს მონაცემებს პარტნიორ სახელმწიფოებში მოღვაწე ჰუმანიტარული დისციპლინის პროფესორებისაგან. ამ შედეგებზე დაყრდნობით, მიკოლო რომერიოს სახელობის უნივერსიტეტი და ვროცლავის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი შექმნის ონლაინ ტრენინგ-კურსს პარტნიორებთან შეთანხმებით. აღნიშნული ონლაინ კურსი გააუმჯობესებს პროფესორთა ცოდნას STEM სფეროში.

📘 მეტროპოლიტენის კოლეჯის ხელმძღვანელობით შეიქმნება სახელმძღვანელო STEM უნარების შესასწავლად. ეს საგანამანათლებლო რესურსი დაეხმარება ჰუმანიტარული დისციპლინის პროფესორებს იმისათვის, რომ უზრუნველყონ STEM უნარების ინტეგრირება საკუთარ კურიკულუმებში და შესთავაზონ სტუდენტებს საინტერესო ინტერსდისციპლინური კურსები.

🌍 მაცერატას უნივერსიტეტი კოორდინირებას გაუწევს პროექტის ყველა აქტივობას. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ და ლვოვის ივან ფრანკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი კი სიღრმისეულად შეისწავლიან, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდება აღნიშნული აქტივობები.

რა იქნება შემდეგში?

პროექტის განხორციელება დაიწყო! გთხოვთ, ადევნოთ თვალი სიახლეებს თვითშეფასების მექანიზმთან, ონლაინ ტრენინგ-კურსთან და STEM სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით.
ერთად, ჩვენ შევქმნით უფრო მრავალფეროვან, ინკლუზიურ და ეფექტურ საგანმანათლებლო გარემოს.

პარტნიორები

unimc UNIVERSITÀ DI MACERATA
Innovation Hive
MRU Mykolas Romeris University
GIU GEORGIAN INTERNATIONAL UNIVERSITY
iut Université de Lille
IVAN FRANKO NATIONAL UNIVERSITY OF LVIV
METROPOLITAN COLLEGE
Wrocław University of Science and Technology
Faculty of Management

Co-funded by the European Union

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მიუხედავად ამისა, აქ არსებული ხედვები და აზრები მხოლოდ ავტორ(ებ)ის მიერ არის გამოთქმული და შესაძლოა, არ დაემთხვეს ევროკავშირის ან "Erasmus+"-ის ეროვნული სააგენტო "INDIRE"-ს ხედვებსა და აზრებს. არც ევროკავშირი და არც ევროპის განათლებისა და არც გრანტის გამცემი მხარე არ აგებენ პასუხს აღნიშნულ ხედვებსა და აზრებზე.

ID: 2023-1-IT02-KA220-HED-000164647